განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
16 დეკემბერი, 2019წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი:
24 თებერვალი, 2020წ.

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლარისა პატარაია, ბიზნეს და საკონსულტაციო კომპანია „Start- Business Solutions", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბურდილაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება - მიზნად ისახავს საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრების მომზადებას. რომელთაც ექნებათ თანამედროვე ცოდნის და სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით ბიზნესის სფეროში ეფექტიანი მმართველობითი საქმიანობის განხორციელების უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 8 სემესტრია. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, სავალდებულო საგნებისათვის გათვალისწინებულია 60 კრედიტი, ძირითადი სპეციალობის საგნები მოიცავს 112 კრედიტს, ხოლო ზოგადი საგნების კურსი 52 კრედიტია. არჩევითი სავალდებულო საგნებისათვის გათვალისწინებულია 16 კრედიტი (8 საგნიდან სტუდენტი ირჩევს 4 საგანს).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 16 დეკემბერს. 13 დეკემბერს შედგა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა (მერაბ ხოხობაია, ნინო ზარნაძე, ლარისა პატარაია, მარიამ ბურდილაძე) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. შეხვედრაზე ჯგუფმა ჩამოაყალიბა ძირითადი განსახილველი საკითხები და შეიმუშავა კითხვები სტრანდარტების შესაბამისად. საგანმანათლებლო დაწესებულებაში შედგა დღის წესრიგით განსაზღვრული შეხვედრები. კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრების მიერ მოხდა საბაკალავრო ნაშრომების და პრაქტიკის ანგარიშების გადახედვა. დღის წესრიგით გათვალისწინებული

შეხვედრების დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო დოკუმენტაციის გაანალიზების და ვიზიტის შედეგად პროგრამის შესახებ ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვლეული დოკუმენტების და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ჯგუფმა დაადგინა საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება (სპორტი) მენეჯმენტში აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. კერძოდ, სტანდარტი I - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი II - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. სტანდარტი III - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. სტანდარტი IV - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი V - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია, პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდებულია, შემუშავდეს კურიკულუმის რუკა;

რეკომენდებულია, სასწავლო კურსს ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის“ კურსის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობად განესაზღვროს კალკულუსი 2;

რეკომენდებულია, სასწავლო კურსს ,,კვლევის მეთოდები“ წინაპირობად განესაზღვროს ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის“;

რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა და იგი განისაზღვროს სავალდებულო კომპონენტების შესრულებით;

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის განვითარების მიზნით უზრუნველყოს დამსაქმებლებლების აქტიური ჩართულობა;

რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგალითად, „სპორტში ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა“, „ინოვაციური პროცესების მართვა სპორტში”) გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურა და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანთან;

რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სპორტის მიმართულების კურსების ძირითადი ლიტერატურის თარგმანი;

რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სტუდენტებისათვის სათანადო სივრცის შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება ბიზნეს იდეების, პროექტების პრაქტიკაში რეალიზება;

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკონკრეტდეს სწავლება/სწავლის მეთოდების სემინარის ფარგლებში განსახორციელებელი შესაბამისი აქტივობები.

რეკომენდებულია, დაწესებულებამ ეფექტიანად გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კონტაქტები და მოახდინოს სტუდენტების წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით;

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს სტუდენტთა ადგილობრივ პროექტებში, კონფერენციებში, ტრენინგ-სემინარებსა და პრაქტიკებში ჩართულობა;

რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების გაზრდა;

რეკომენდებულია, განისაზღვროს პროგრამის ბიუჯეტი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი პროგრამის რეალიზებისთვის და მისი მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები;

რეკომენდებულია, სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, განისაზღვროს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობის ლიტერატურა;

რეკომენდებულია, დაწესებულებამ გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის დახვეწას და კონკურენტუნარიანობის ზრდას;

რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგის და ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ჩატარდეს შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან.

რეკომენდებულია პროგრამის მიზნების მიღწევისთვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პერმანენტული განახლება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს უცხო ენის კომპონენტი და დამატებით სტუდენტებისთვის შეთავაზულ იქნას პროფესიული ინგლისური;

სასწავლო კურსების სილაბუსების გარკვეულ ნაწილში სასურველია დაზუსტდეს შეფასების ბიჯი. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მცირე ბიზნესის საფუძვლები. ასევე, ამ სასწავლო კურსების სილბუსებში სასურველია განისაზღვროს ვადები რეფერატის შესრულებასთან დაკავშირებით;

სასურველია, დაწესებულებამ აქტიურად იმუშაოს ცალკეული კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტების განვითარებაზე;

სასურველია, სილაბუსებში აისახოს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების, შესაბამისი აქტივობების საერთაშორისოდ აპრობირებული მიდგომები, მაგალითად: სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, ჯგუფური პრეზენტაცია (PPT,ფლიპჩართით), დასარიგებელი მასალა (handouts), ზეპირი რეცენზირება (peer-review),უკუკავშირის კითხვარი (feedback), ელექტრონული რესურსით სწავლება, პროექტი, აკადემიური ნაშრომის დაწერა (paper) რეფლექსია, წიგნზე მუშაობა, პრობლემების ანალიზი-გადაჭრა და სხვა;

სასურველია, პროგრამამ უმასპინძლოს მოწვეული სტუმრებს, რომლებიც სხვადასხვა თემატიკაზე სტუდენტებს შეხვდებიან პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა თუ მრგვალი მაგიდის ფორმატში;

სასურველია, დასაქმებისა და კარიერის განვითარების სამსახურმა თითოეულ მსურველ სტუდენტთან ინდივიდუალურად იმუშავოს, რადგან პირადი პორტფოლიოს შედგენა სტუდენტისთვის შესაფერისი დამსაქმებლის შერჩევასა და კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს;

სასურველია, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის აკადემიურ აქტივობის წახალისება. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების, მონოგრაფიების, პუბლიკაციების გამოქვეყნება, კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, დარგის სპეციალისტებთან მეტად თანაშრომლობა;

სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს პროგრამის განმახოციელებელი პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლებას;

სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები რომელიც უზრუნველყოფს თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების დაძლევას;

მიზანშეწონილია სტუდენტთა ელექტრონული სისტემის დახვეწა-გაუმჯობესება;

სასურველია, სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებულ იქნას არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;

მიზანშეწონილია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

სასურველია დაწესებულებამ სტუდენტებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის და კრედიტების შესახებ:

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (სპორტი) მენეჯმენტში დამტკიცებულია 2018 წელს. პროგრამის მიზანია, ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მმართველობით საქმიანობას თანამედროვე ცოდნისა და სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით. პროგრამის მიზანია, ბიზნეს ადმინისტრირების სხვადასხვა დისციპლინის შესაწავლის საფუძველზე ჩამოუყალიბოს მომავალ სპეციალისტს მართვის და ორგანიზაციის უნარი და ლიდერული თვისებები. პროგრამით განსაზღვრული მიზნები მეტნაკლებად ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, თუმცა გაურკვეველია, როგორ ხდება პროგრამის განხორციელების პროცესში სამეწარმეო მიდგომების გამოყენება. მიზნებში არ არის კარგად დიფერენცირებული ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რაზე ორიენტირებული უნდა იყოს პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამას აქვს პოტენციალი სპორტის ინდუსტრიაში მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც დარგის განვითარებას შეუწყობენ ხელს, ამის შესახებ პროგრამის მიზნებში არ ხდება ხაზგასმა. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაში მოდის უნივერსიტეტის მისიასთან. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.sportuni.ge პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. 2019 წელს უნივერსიტეტმა ჩაატარა საქართველოში სპორტის სფეროში დასაქმებული სპორტის მენეჯერების ბაზრის კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა არ არის რეპრეზენტატული, მისი შედეგები ცხადყოფს, რომ სპორტის ინდუსტრიაში მენეჯერული კვალიფიკაციის მქონე დარგობრივი სპეციალისტების დეფიციტია. დამსაქმებლებთან

ინტერვიუების პროცესშიც გამოჩნდა, რომ თუ უნივერსიტეტი შეძლებს მოამზადოს კონკურეტუნარიანი კადრი, რომელსაც ეცოდინება სპორტის სპეციფიკა, ისინი მზად არიან თანამშრომლობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არ ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს. ინტერვიუების დროს აღმოჩნდა, რომ პროგრამაში ჩართული პირები კარგად იცნობენ პროგრამის მიზნებს და იზიარებენ მას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- საქართველოში სპორტის სფეროში დასაქმებული სპორტის მენეჯერების ბაზრის კვლევა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებგვერდი www.sportuni.ge
- ინტერვიუს შედეგები:

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (სპორტი) მენეჯმენტში სწავლის შედეგები წარმოდგენილია 10 ზოგადი და 8 დარგობრივი კომპეტენციით. პროგრამაში ცოდნა გაცნობიერების ნაწილში წარმოდგენილია 12 ქვეშედეგი, ცოდნის პრატიკაში გამოყენების უნარში 7 ქვეშედეგი, დასკნის უნარში - 3 ქვეშედეგი, კომუნიკაციის უნარში - 6 ქვეშედეგი, სწავლის უნარში - 4 ქვეშედეგი, ღირებულებებში - 3 ქვეშედეგი. პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება პროგრამაში არსებულ სილაბუსების სწავლის შედეგებს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია, როგორ ხდება შედეგების გაზომვა. განსაკუთრებით რთულია დავინახოთ ზოგადი სურათი, რადგან უნივერსიტეტს არ აქვს წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

როგორც ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან დადგინდა, პროგრამის სწავლის შედეგების გაწერის პროცესში უნივერსიტეტმა იხელმძღვანელა საქართველოში არსებული სხვა უნივერსიტეტების გამოცდილებით, ასევე გამოიყენა სპორტის მენეჯმენტის ამიერკული და ევროპული საუკეთესო გამოცდილება. პროგრამის შედეგები ორიენტირებულია, რომ კურსდამთავრებულმა მუშაობა დაიწყოს სპორტულ ორგანიზაციაში და აძლევს სპორტული ორგანიზაციის მართვის სპეციალიზირებულ ცოდნას და შესაძლებელს ხდის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. ვინაიდან, ეს არ არის კლასიკური ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და ძირითადი ფოკუსი სპორტის მენეჯმენტისკენ არის მიმართული, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული დარგის სპეციფიკა, თუმცა ვიზიტის დროს ინტერვიუების მსვლელობისას გამოვლინდა, რომ

შესაძლებელია შრომის ბაზრის მოთხოვნების მეტად გათვალისწინება და სწავლის შედეგების სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან უფრო აქტიური კომუნიკაცია. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრის დროს არ იყო სტუდენტი მონაწილე წარმოდგენილი.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. არსებობს პროგრამის სწავლის შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასება ხდება სემესტრულად და მას კოორდინირებას უწევს ხარისხის მართვის სამსახური. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები და ხდება სამიზნე ნიშნულების დადარება შედეგებთან მონიტორინგის მეშვეობით. სწავლის შედეგების შეფასებებისას ძირითადად გამოიყენება პირდაპირი შეფასების მეთოდები.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული წესი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. როგორც ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან გაირკვა, ეს წარმოადგენს წინაპირობას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების და ემსახურება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას და დახვეწას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- სამიზნე ნიშნულები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდირებულია შემუშავდეს კურიკულუმის რუკა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებულ იქნას არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; მიზანშეწონილია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე (სპორტი) მენეჯმენტში განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს, ამ პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამას განსაზღვრული აქვს განსხვავებული წესით ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე/მობილობა), რომელიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს საბაკალავრო საფეხურის პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია შემდეგი სახით: ზოგადი საგნების კურსი - 52 კრედიტი, საბაზისო სავალდებულო საგნები - 60 კრედიტი, ძირითადი სპეციალობის საგნები - 112 კრედიტი, არჩევითი სავალდებულო საგნები - 16 კრედიტი (8 არჩევითი საგნიდან სტუდენტი ირჩევს 4 საგანს). პროგრამაში გათვალისწინებულია უცხო

ენის კომპონენტი (ინგლისური ენა) რომელიც ისწავლება 4 სემესტრის განმავლობაში. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინების ერთი მხრივ, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო დისციპლინებს: ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მცირე ბიზნესის საფუძვლები, პროექტის მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი. ასევე, სპორტის მენეჯმენტის სპციალობის კურსებს: სპორტის მენეჯმენტის საფუძვლები 1-2, კომუნიკაცია სპორტის მენეჯმენტში, სპორტის სახელმწიფო მართვის საფუძვლები, ბიზნესი და სპორტი, სპორტის მარკეტინგი 1-2, სპორტში ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამაში საგანზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია. თუმცა, ზოგიერთ სასწავლო კომპონენტთან მიმართებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინაპირობების განსაზღვრა. კერძოდ, სასწვლო კურსს ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის“ კურსის მიზნიდან (ეკონომიკური და ბიზნესის ამოცანების სტატისტიკური მოდელების შედგენა) და შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობად უნდა განესაზღვროს კალკულუსი 2. სასწავლო კურსს ,,კვლევის მეთოდები“ წინაპირობად უნდა განესაზღვროს ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის“, რადგან აღნიშნული კურსის მიზანია კვლევის განხორციელებისათვის საბაზისო უნარების განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მინზანშეწონილია წინაპირობის დაკონკრეტება და იგი უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტებით. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა დამსაქმებელთა სუსტი ჩართულობა. მიგვაჩნია რომ დამსაქმებლებთან უკუკავშირები მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებამ აქტიურად უნდა იმუშავოს ამ მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსს „სტატისტიკა მენეჯერებისათვის“ კურსის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობად განესაზღვროს კალკულუსი 2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსს ,,კვლევის მეთოდები“ წინაპირობად განესაზღვროს ,,სტატისტიკა მენეჯერებისათვის“. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა და იგი განისაზღვროს სავალდებულო კომპონენტების შესრულებით. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის განვითარების მიზნით უზრუნველყოს დამსაქმებლებლების აქტიური ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაში საბაზისო სავალდებულო საგნების კურსებს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო ძირითადი სპეციალობის საგნებს 112 კრედიტი. მთლიანობაში პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსები შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის პროფილს. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. სასწავლო კურსების სილაბუსების გარკვეულ ნაწილში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაზუსტდეს შეფასების ბიჯი. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მცირე ბიზნესის საფუძვლები. ასევე, ამ სასწავლო კურსების სილბუსებში უნდა განისაზღვროს ვადები რეფერატის შესრულებასთან დაკავშირებით. სასწავლო კურსები ,,ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები“ და ,,ფინანსების და ბიუჯეტის დაგეგმვა სპორტში“ ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია ერთიდაიგივე ლიტერატურა, რაც მოითხოვს სასწალო კურსების მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე გადამუშავებას. სასწავლო კურსებში ,,სპორტში ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა“ და ,,ინოვაციური პროცესების მართვა სპორტში”, კურსების ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის სპორტის პროფილის ნაწილი უზუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური ლიტერატურით. საგანმანათლებლო პროგრამას ერთ-ერთ დარგობრივ კომპეტენციად განსაზღვრული აქვს პროფესიული კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენა ისწავლება 4 სემესტრის განმავლობაში, სასურველია პროფესიული მიმართულების ინგლისურით პროგრამის გაძლიერება. რაც ეფექტიანად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. მთლიანობაში პროგრამის სწავლის შედეგების სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სპორტის მიმართულებით არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანი, რაც დაეხმარება როგორც სტუდენტებს, ასევე, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგალითად, ,,სპორტში ფონდებისა და ინვესტიციების მოზიდვა“, ,,ინოვაციური პროცესების მართვა სპორტში”) გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურა და იგი მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანთან. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სპორტის მიმართულების კურსების ძირითადი ლიტერატურის თარგმანი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს უცხო ენის კომპონენტი და დამატებით სტუდენტებისთვის შეთავაზულ იქნას პროფესიული ინგლისური. სასწავლო კურსების სილაბუსების გარკვეულ ნაწილში სასურველია დაზუსტდეს შეფასების ბიჯი. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მცირე ბიზნესის საფუძვლები. ასევე, ამ სასწავლო კურსების სილბუსებში სასურველია განისაზღვროს ვადები რეფერატის შესრულებასთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია აქტივობები რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას (პრეზენტაცია, პროექტი, შემთხვევის ანალიზი და ა.შ). საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად გათვალისწინებულია პრაქტიკა სპეციალობაში (10 კრედიტი), სტუდენტები ასრულებენ სხვადასხვა დავალებებს რომლის ასახვა ხდება პრაქტიკის ანგარიშში. პრაქტიკას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტიდან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, ასევე, პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მიმღები დაწესებულება გამოყოფს პრაქტიკის მენტორს. რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა პრაქტიკით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებში. პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად არის გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომი (20 კრედიტი), რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას და მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულებამ აქტიურად იმუშაოს ცალკეულ კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტების განვითარებაზე. ასევე, დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტებისათვის სათანადო სივრცის შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება ბიზნეს იდეების, პროექტების პრაქტიკაში რეალიზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ სტუდენტების პრაქტიკის ანგარიშები; ○ სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომები;
რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სტუდენტებისათვის სათანადო სივრცის შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება ბიზნეს იდეების, პროექტების პრაქტიკაში რეალიზება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დაწესებულებამ აქტიურად იმუშაოს ცალკეული კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტების განვითარებაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი და პრაქტიკული მუშაობა. სწავლება-სწავლის მეთოდის შესაბამისი აქტივობებია: • წერითი მუშაობის მეთოდი; • ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; • დემონსტრირების მეთოდი;

- დისკუსია / დებატები;
- ახსნა-განმარტება;
- საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- პრეზენტაცია;

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი გამოკითხვის აქტივობები შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა და რამდენიმე საგნის შემთხვევაში ქვიზი. სილაბუსების უმეტესობაში ასახულია სხვადასხვა აქტივობები როგორიცაა ტესტი, ღია კითხვები, ესსე. სასწავლო კურსებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაკონკრეტდეს სწავლება/სწავლის მეთოდების სემინარის ფარგლებში განსახორციელებელი შესაბამისი აქტივობები.

სასურველია, სილაბუსებში აისახოს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების, შესაბამისი აქტივობების საერთაშორისოდ აპრობირებული მიდგომები, მაგალითად: სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, ჯგუფური პრეზენტაცია (PPT,ფლიპჩართით), დასარიგებელი მასალა (handouts), ზეპირი რეცენზირება (peer-review),უკუკავშირის კითხვარი (feedback), ელექტრონული რესურსით სწავლება. ასევე, სასურველია, პროგრამამ უმასპინძლოს მოწვეული სტუმრებს, რომლებიც სხვადასხვა თემატიკაზე სტუდენტებს შეხვდებიან პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა თუ მრგვალი მაგიდის ფორმატში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკონკრეტდეს სწავლება/სწავლის მეთოდების სემინარის ფარგლებში განსახორციელებელი შესაბამისი აქტივობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სილაბუსებში აისახოს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების, შესაბამისი აქტივობების საერთაშორისოდ აპრობირებული მიდგომები, მაგალითად: სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, ჯგუფური პრეზენტაცია

(PPT,ფლიპჩართით), დასარიგებელი მასალა (handouts), ზეპირი რეცენზირება (peer-review),უკუკავშირის კითხვარი (feedback), ელექტრონული რესურსით სწავლება, პროექტი, აკადემიური ნაშრომის დაწერა (paper) რეფლექსია, წიგნზე მუშაობა, პრობლემების ანალიზი-გადაჭრა და სხვ.

სასურველია, პროგრამამ უმასპინძლოს მოწვეული სტუმრებს, რომლებიც სხვადასხვა თემატიკაზე სტუდენტებს შეხვდებიან პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა თუ მრგვალი მაგიდის ფორმატში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება სილაბუსითა და პროგრამით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მიმდინარე წელს სტუდენტთა ელექტრონული პორტალი ამოქმედდა, სადაც შესაძლებელია განთავსდეს სასწავლო კურსის საგნების სილაბუსები და აისახოს შესაბამისი შეფასება, რაც ამჟამად სრულყოფილად ვერ ხორციელდება.

საგნის სილაბუსებში გაწერილია შეფასების კომპონენტის კრიტერიუმებისა და ქულების რუბრიკა. სტუდენტების შეფასება ხდება ორი გზით: შუალედური და დასკვნითი. სასწავლო

კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 60 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 40 ქულა. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი-მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას : ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ · სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება (სასწავლო კურსების შემთხვევაში); ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ · სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი (სასწავლო კურსების შემთხვევაში) სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და ნაწილობრივ შეესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსებში, შესაბამისად წინასწარ არის ცნობილი სტუდენტისთვის. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე ლექციებსა და საკონსულტაციო საათებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა; ○ ინტერვიუს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია სტუდენტთა ელექტრონული სისტემის დახვეწა-გაუმჯობესება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის შესახებ ინფორმაციას ახლად ჩარიცხულ სტუდენტს გაცნობით შეხვედრაზე პროგრამის კოორდინატორი აწვდის, თუმცა სტუდენტებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მათ სრულყოფილად არ ესმით კრედიტების არსი და პროგრამის სტრუქტურა.

სწავლის პროცესში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისაგან, რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსში. პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის.

აღსანიშნავია ელექტრონული უკუკავშირის სისტემა, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სპორტულ ფედერაციებთან, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას დასაქმდნენ ან გაიარონ სასწავლო პრაქტიკა. თუმცა, სასურველია უნივერსიტეტმა გააფორმოს მემორანდუმები კერძო სექტორთან, რაც პროგრამით გათვალისწინებული ბიზნეს ადმინისტრირების სასწავლო ნაწილის შესაბამისად, სტუდენტებს მისცემს საშუალებას გაიარონ პრაქტიკა/სტაჟირება.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს იშვიათად აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, კონფერენციებში, ტრენინგ-სემინარებსა და ვორქშოპებში. მომდევნო წელს დაგეგმილ ლა ლიგას ბიზნეს სკოლის სასერტიფიკაციო კურსზე უნივერსიტეტი კონკურსის საფუძველზე დააფინანსებს სტუდენტებს, რაც მისასალმებელია, თუმცა ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაუმჯობესება კვლავ რჩება უნივერსიტეტის მთავარ გამოწვევად. უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები ევროპის უნივერსიტეტებთან, თუმცა სტუდენტები არ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაწესებულებამ ეფექტიანად გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კონტაქტები და მოახდინოს სტუდენტების წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს სტუდენტთა ადგილობრივ პროექტებში, კონფერენციებში, ტრენინგ-სემინარებსა და პრაქტიკებში ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დასაქმებისა და კარიერის განვითარების სამსახურმა თითოეულ მსურველ სტუდენტთან ინდივიდუალურად იმუშავოს, რადგან პირადი პორტფოლიოს შედგენა სტუდენტისთვის შესაფერისი დამსაქმებლის შერჩევასა და კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს. სასურველია დაწესებულებამ სტუდენტებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის და კრედიტების შესახებ:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას თან ერთვის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენელია პროგრამის განმახორცილებელი პერსონალის უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები. აღნიშნულ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მიუხედავად ამისა, პროგრამის აქტუალობიდან გამომდინარე, საჭიროა ხდებოდეს პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენციების და უნარების მუდმივი განახლება, მათი სამეცნიერო სამუშაოებში ჩართვა. პროგრამის განხორციელებაში ჩართული სპორტის მენეჯმენტის მიმართულებით მოღვაწე პრაქტიკოსები გახდიდნენ პროგრამას უფრო ეფექტურს და სტუდენტების ცოდნას უფრო მეტად მდგრადს. საჯარო ლექციების ჩატარება, ე.წ. „გესთ სპიქერების მოწვევა“ ასევე განამტკიცებდა პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის აკადემიურ აქტიურობაში ჩართვა. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების, მონოგრაფიების, პუბლიკაციების გამოქვეყნება, კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, დარგის სპეციალისტებთან მეტად თანაშრომლობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო რაოდენობის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით: უნივერსიტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ დაწესებულების გამართულ მუშაობას და ქმნიან პროგრამის განხორციელებისათვის შესაფერის გარემოს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ადმინისტრაციული, სასწავლო და დამხმარე პერსონალის კარგი ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს პროგრამის წარმატებით განხორციელების

მნიშვნელოვან ასპექტს. დაწესებულება აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულება რეგულარად არ არის ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაში. ასევე, არ არის აქტიური სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის წახალისებაში. აკადემიური და მოწვეული ლექტორების სამეცნიერო/კვლევითი აქტივობები დინამიკაში უნდა იყოს მზარდი. მიუხედავად პროგრამის საერთაშორისო მნიშვნელობისა და პროგრამაში მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურის არსებობისა, ვლინდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე. ასევე, უმრავლეს შემთხვევაში არ დასტურდება პედაგოგების აქტიურობა სამეცნიერო და კვლევითი ნაშრომების შექმნის კუთხით, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროგრამის თანამედროვეობას და აქტუალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ დაწესებულების პერსონალთან; ○ დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების გაზრდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს პროგრამის განმახოციელებელი პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლებას;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია შენობით. აუდიტორიები საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. უნივერსიტეტში შექმნილია სწავლისა და კვლევისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით. უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში კი – სახანძრო უსაფრთხოება და საევაკუაციო პირობები. გამართულად ფუნქციონირებს გათბობის, ვენტილაციის, კონდიცირების, განათების სისტემები და სველი წერტილები. კაბინეტ-ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა საჭიროებს განახლებას. უნივერსიტეტში არსებობს მცირე სამკითხველო დარბაზი, რომელსაც სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის სიმწირის გამო, უფრო სამკითხველო დარბაზის წოდება შეეფერება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა სრულად არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ექსპერტების მიერ განხორციელებული მატერიალური ბაზის დათვალიერება-შესწავლა;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია პროგრამის მიზნების მიღწევისთვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პერმანენტული განახლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის განახლება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ მოწოდებული ბიუჯეტი ბუნდოვანია და მრავალ კითხვას ბადებს. აქედან გამომდინარე, რთულია განსაზღვრა, თუ რამდენად მიღწევადია პროგრამის მიზნები არსებული ფინანსური რესურსებით. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის მიერ იქნა მოწოდებული შპს პარნასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია 16.12.2019 წელში განხორციელებული შესყიდვები. შეძენილია

სილაბუსებში მითითებული 10 წიგნი (თითო ეგზემპლარი) ჯამური ღირებულებით 1860 ლარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; ○ დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამის ბიუჯეტი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი პროგრამის რეალიზებისთვის და მისი მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები. სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, განისაზღვროს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობის ლიტერატურა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ოქმი N530 ოქტომბერი 2015 წელი). აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად, ხოლო მეორე მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციული თვალსაზრისით პასუხისმგებელი დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია, რომელიც კოორდინირებას უწევს ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს. სწავლების ხარისხის შეფასება ხორციელდება ციკლით, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა კვლევების განხორციელებისათვის იყენებს კითხვარებს. დაწესებულებას ჩატარებული აქვს კვლევები შემდეგი მიმართულებით: ბიბლიოთეკის მომსახურების შეფასება, კურსდამთავრებულ სტუდენტთა კვლევა, ლექტორთა თვითშეფასების კვლევა. ასევე, ხორციელდება აკადემიური პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება სტუდენტთა მიერ. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში იდენტიფიციებულია ძლიერი და სუსტი მხარეები,

რაც მნიშვნელოვანია სწორი დიაგნოსტიკის თვალსაზრისით. ეფექტიანი შედეგების მიღწევისათვის მიზანშეწონილია დაწესებულებამ სხვადასხვა დეპარტამენტებთან კოორდინირებულად იმუშაოს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებზე. რომელიც ორიენტირებული იქნება არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიბლიოთეკის მომსახურების შეფასება; ○ კურსდათავრებულ სტუდენტთა კვლევა; ○ ლექტორთა თვითშეფასების კვლევა; ○ უმაღლესი აკადემიური პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება სტუდენტთა მიერ; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები რომელიც უზრუნველყოფს თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების დაძლევას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულება პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. გარდა ამისა, პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად გამოყენებულია შრომის ბაზრის კვლევა. დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების წესში გაწერილი აქვს გარე შეფასების მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები. რომელიც ითვალისწინებს უცხოელი ექსპერტის ან გარე შემფასებლის მიერ პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას. ჩვენი აზრით, პროგრამის განვითარების მიზნით დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. აღნიშნული საკითხი დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში იდენტიფიცირებული აქვს როგორც გასაუმჯობესებელი კომპონენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია დაწესებულებამ გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის დახვეწას და კონკურენტუნარიანობის ზრდას;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგისათვის და შეფასებისთვის ხდება ინფორმაციის შეგროვება, რომლის კოორდინირებას უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ყოველწლიურ მონიტორინგს, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით პედაგოგების შემოწმებას. აღნიშნული კრიტერიუმები განსაზღვრული აქვს დაწესებულებას. მაგალითად, 2018-2019 წელს მონიტორნგს ჯგუფმა კვლევა ჩაატარა 12 განსხვავებულ დისციპლინაში. ანალოგიური ფორმატით დაწესებულებამ მონიტორიგი განახორციელა 2017-2018 წელს. გრძელვადიან დინამიკაში პროგრამით გათვალისწინებული შედეგების სისტემური შეფასების კუთხით მიზანშეწონილია ჩატარდეს ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები. აღნიშნული ფორმატი დაწესებულებას საშუალებას მისცემს მოახდინოს იმ საკითხების იდენტიფიკაცია, რომელიც საჭიროა პროგრამის მონიტორინგის და სწავლის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მთლიანობაში დაწესებულებამ უნდა იმუშავოს კვლევის შედეგებით გამოვლენილი საკითხების გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;

○ უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგის და ხარისხის უზრველყოფის თვალსაზრისით ჩატარდეს შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მერაბ ხოხობაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნინო ზარნაძე 

ლარისა პატარაია

მარიამ ბურდილაძე